

გეოდეზიური მეთოდები და ხერხები მიწათმოწყობაში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მაგალითზე

გიორგი კოდელაშვილი

ელ. ფოსტა: giorgi.kodelashvili111093@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჭავჭავაძის გამზ. #3

ადრეული პერიოდიდანვე, საქართველოს ამა თუ იმ რეგიონში, ადამიანებს სურდათ თავისი საყოფაცხოვრებო და სასოფლო-სამეურნეო ადგილები დაეკანონებინათ, რათა კონფლიქტი არ მოსვლოდათ ერთმანეთში და მიწათმოქმედება განეხორციელებინათ. სახელმწიფომ კი რამდენიმე პროექტის განხორციელება დაიწყო მიწის დაკანონებასთან დაკავშირებით. დაკანონების საწყის საფეხურზე კი გეოდეზიური სამუშაოები არის საჭირო. შესაბამისად ნაშრომში წარმოგიდგინებთ მიწის აზომვის გეოდეზიურ მეთოდებსა და ხერხებს, მათ ოპტიმალურ გამოყენებას განსხვავებულ გარემო პირობებში, ეს იქნება ხე-ტყიან ადგილებში, რთული რელიეფის მქონე ტერიტორიებზე, განსხვავებული კლიმატური პირობების დროს და ა.შ. მიწის აზომვისას აუცილებელია სიზუსტის დაცვა, რაც ადრეულ პერიოდში ნაკლებად იყო, რადგანაც განსხვავდებოდა მიწის აზომვის ტექნოლოგიები და მეთოდები. დროთა განმავლობაში შეიცვალა საამზომველო ხერხები, დაინერგა ახალი მეთოდები, რომლებითაც უკვე შესაძლებელი გახდა მაღალი სიზუსტით აზომოს ესა თუ ის ტერიტორია. აღნიშნული ფაქტი კი განაპირობებს მიწის საკუთრების ზუსტ კოორდინატებში დასმას, შესაბამისად შესაძლებელია შორის აღარ შეიქმნება უთანხმოება და სოციალური პრობლემა ამ კუთხით მოიხსნება. გარდა ამისა საზღვრისპირა ტერიტორიებიც სადაო გვაქვს მეზობელ სახელმწიფოებთან, არასწორი გეოდეზიურ-საამზომველო სამუშაოების გამო. მართალია არსებული პრობლემა მთელი ქვეყნის მაშტაბით არის, მაგრამ მე შევჯერდი და კვლევის ობიექტად ავირჩიეთ ბოლნისის მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით, როგორც აზიური ისე ევროპული წარმომადგენლებით. ასეთი მრავალფეროვნების მქონე ტერიტორიებზე უფრო მეტად არის სოციალური დაძაბულობა, რადგან ისედაც პრობლემა ასიმილაციის და ამას კიდევ რომ დაემატოს მიწის არასწორი რეგისტრაცია, უფრო და უფრო გაღვივდება კონფლიქტი და შუღლი, მითუმეტეს მუნიციპალიტეტში აზერბაიჯანელი მოსახლეობა აქტიურად არის სოფლის მეურნეობაში ჩართული. ამისათვის კი შედარდა ძველი და დათანამედროვე ტექნოლოგიებით აზომილი ტერიტორიები, გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი საკითხები. ნათელი გახდა ის, რომ მნიშვნელოვანად შეიცვალა ძველ დროს არსებული მიწათმოწყობის განლაგება დღევანდელ რეალურ დროსთან შედარებით, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიებმა ნათლად დაგვანახა რა ხდებოდა და ახლა რა მდგომარეობაა. პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩატარდა კამერალური, ნარატიული მასალისა და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, რის საფუძველზეც მოხდა პრობლემის გადაჭრის ხერხებისა და მეთოდების დადგენა.